**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

20 ნოემბერი, 2024 წ.

**ბრძანება N** 01-08/939

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ზოგიერთი სტუდენტისათვის 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ,,გუდავაძე-პატარკაციშვილის'' სახელობის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების, ბსუ-სა და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდს შორის 2024 წლის 08 ნომბერს დადებული საგრანტო ხელშეკრულებისა და ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 07 ნოემბრის № 1430484 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში წინამდებარე ბრძანების N1 **დანართით** განსაზღვრულ ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ,,ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს დაენიშნოს და გაიცეს ,,**გუდავაძე-პატარკაციშვილის'' სახელობის სტიპენდია, ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე, 2024 წლის 01 ოქტომბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე პერიოდზე ჯამში 750 ლარი).
2. წინამდებარე ბრძანების შესახებ ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტმა აცნობოს სტუდენტებს (ბრძანება განთავსდეს მათ პირად საქმეებში) და ,,გუდავაძე - პატარკაციშვილის'' ფონდს.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი — მ. ხალვაში

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ზოგიერთი სტუდენტისათვის 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ,,გუდავაძე-პატარკაციშვილის'' სახელობის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ''

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 20 ნოემბრის №01-08/939 ბრძანების
დანართი 1

| N | 2024-25 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ,,გუდავაძე-პატარკაციშვილის'' სტიპენდიანტი ბსუ-ს სტუდენტის სახელი და გვარი | პირადი ნომერი | ,,ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების წელი |
|---|---|---|---|
| 1 | მარიამ გაზაშვილი | | მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი |
| 2 | ემზარი ჭელიძე | | მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი |
| 3 | გიორგი მოსიძე | | მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი |
| 4 | მეგი ქათამაძე | | მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი; |
| 5 | ნათია კეჟერაძე | | მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი |
| 6 | მარიამი ლეჟავა | | მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი |
| 7 | ნინი აბულაძე | | მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი |
| 8 | ხატია ფაღავა | | მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი |
| 9 | მეგი ბედინაძე | | მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი |
| 10 | ლანა ბერიძე | | მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი |